პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

2 მაისი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 103 (14403)

**გუშინ მთელმა საბჭოთა ქვეყანამ, პროგრესულმა კაცობრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — 1 მაისი.**

**მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციებმა კიდევ ერთხელ ცხადყო მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე დარაზმულობა ლენინის პარტიის გარშემო.**



მოსკოვი, 1969 წლის 1 მაისი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საქდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

# ვცხოვრობდეთ, ვშრომობდეთ და ვიმარჯვებდეთ ლენინურად!

## საპირველმაისო დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ალისფრად მღელვარე, მზიანი დილა გათენდა. მზის პირველმა სხივებმა დედაქალაქის თავზე გააცისკროვნეს ცად აწვდილი ალისფერი დროშა. 500 მეტრ სიმაღლეზე — ოსტანკინოს ტელეკოშკის შპილზე უზარმაზარი დროშა აღმართეს დღესასწაულის წინ მამაცმა ზემცოცავებმა. გამარჯობა, დღესასწაულო, გამარჯობა პირველო მაისო!

...პირველი მაისი —
მსოფლიოს მოედნებს
მოივლის წითელი მოედანი.
პირველი მაისი —
მსოფლიოს იმედებს
აავსებს წითელი მოედანი...

კომუნისტი პოეტის ნაზიმ ჰიქმეთის, მოსკოვური პირველი მაისის ტრფიალი კაცის ეს ლექსები გვაგონდება ამ წუთებში.

დიდი ხნით ადრე, სანამ ქალაქის გულისაკენ მიმავალი ქუჩები სადღესასწაულოდ აგუგუნდებოდა, აქეთკენ, წითელი მოედნისაკენ, დაიძრნენ დედაქალაქის სხვადასხვა კუთხიდან ასობით მოსკოველი, დედაქალაქის მრავალი სტუმარი. ოქტომბრის 50 წლისთავის მოედანზე კი უკვე გამზადებული იყო მარშ-პარადისათვის სპორტული ახალგაზრდობა. მისი საგაზაფხულო მორთულობით ათასფრად ელვარებდა წითელი მოედნის მისასვლელები, რომელიც უკვე მზად იყო მოსკოველთა შრომითი პატაკის მისაღებად.

ამ პატაკში პირველი სიტყვა ეკუთვნით შრომის გმირებს, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს. ესენი არიან ქარხნებისა და მშენებლობათა მოწინავე ადამიანები, სახელოვან წამოწყებათა ინიციატორები. კოლონებში მოჩანს მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. ალისფერი ტრანსპარანტის ფონზე, რომელიც პარტიისა და ხალხის ერთიანობას ადიდებს, მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები.

— დიდება კომუნისტურ პარტიას!

— გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

10 ათასი ალამი აფრიალდა მოედანზე. ოვაციათა სადღესასწაულო გუგუნი შეერწყა კრემლის კურანტების რეკვას. საათმა ათჯერ დაჰკრა. მოედნის სხვადასხვა კუთხეში ტაშმა იგრიალა და მისწვდა მავზოლეუმის გრანიტის ტრიბუნებს. ეს მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი. მათთან ერთად არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, საბჭოთა კავშირის მარშლები, კომუნისტური პარტიის ვეტერანები.

საპატიო სტუმრების ტრიბუნებზე არიან თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, მხედართმთავრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვანები. აქვე არიან მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, ბევრი საზღვარგარეთელი სტუმარი, რომლებიც პირველი მაისის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ჩვენს დედაქალაქში. მათ შორის არიან 70 ქვეყნის პროფკავშირული და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლნი, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ფანფარები იძლევიან ტრადიციულ სიგნალს „ისმინეთ ყველამ!".

მოედანზე ქუხს ოვაცია, გაისმის შეძახილები:

— ლენინი ჩვენთან არის! ლენინი ჩვენთან არის!

— დიდება პარტიას, პარტიას დიდება!

— დიდება სკკპ ცენტრალურ კომიტეტს!

მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა.

შეკრებილთ მიმართავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა დღეს აღნიშნავს პირველ მაისს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა მშრომელი ადამიანის სასიხარულო გაზაფხულის დღესასწაულს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო მოსკოველებო და ჩვენი დედაქალაქის სტუმრებო, მუშებო და კოლმეურნეებო, ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებო, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებო ამ დიად დღესასწაულს! **(მქუხარე ტაში. შეძახილები „ვაშა!").**

უკვე ოთხმოცი წელია მთელი მსოფლიოს პროლეტარები პირველ მაისს აწყობენ თავიანთი რევოლუციური ძალების საბრძოლო დათვალიერებას. ამ დღეს ისინი, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა, დღესასწაულობენ „თავიანთ გამოღვიძებას სინათლისა და ცოდნისათვის, თავიანთ გაერთიანებას ერთ ძმურ კავშირად ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ყოველგვარი თვითნებობის წინააღმდეგ, ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური მოწყობისათვის საბრძოლველად".

გაბედულად აღმართეს წითელი დროშა თავიანთ პირველ მაისობებზე რუსეთის მუშათა კლასის საუკეთესო შვილებმა. ამ დროიდან, ბოლშევიკთა პარტიის წინამძღოლობით მიაღწიეს მათ დიად გამარჯვებას 1917 წლის ოქტომბერში. ამ დროიდან დაიცვა საბჭოთა ხალხმა რევოლუციის მონაპოვარნი და ააშენა სოციალიზმი.

პირველი მაისის დღესასწაული მახლობელი და ძვირფასია ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ადამიანებისათვის. ამ დღეს ჩვენ ყველანი განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ერთობას სხვა ქვეყნების კლასობრივ ძმებთან, ყოველივე იმასთან, რაც პატიოსანი და მოწინავეა თანამედროვე სამყაროში. ამ დღეს ჩვენ განსაკუთრებით ცხადად ვგრძნობთ ჩვენი საქმეების, ჩვენი მიღწევების საერთაშორისო მნიშვნელობას. ეს გრძნობა მთელი საბჭოთა ხალხის შთაგონების მძლავრი წყაროა.

კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალი დიდი გამარჯვებებით ეგებება საბჭოთა ქვეყანა წლევანდელ პირველ მაისს.

დაიწყო ხუთწლედის მეოთხე წელი. ხალხის შთაგონებული შემოქმედებითი შრომა ნაყოფს იღებს: წარმოების ბევრ დიდმნიშვნელოვან სფეროში ჩვენ გადაჭარბებით ვასრულებთ სავეგმო დავალებებს ან ვაღწევთ ისეთ ტემპს, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას. წელს მწყობრში დგება ასობით მსხვილი ობიექტი — ახალი ელექტროსადგურები, გიგანტური ბრძმედები, ქიმიური ქარხნები, მსუბუქი და კვების ინდუსტრიის საწარმოები.

წარმატებით ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა. მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შრომითი აქტივობა და ინიციატივა. საძირკველი ეყრება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. ეს გზა დასახულია XXIII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებით.

განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. რაც უფრო ბეჯითად და წარმატებით შრომობენ საბჭოთა ადამიანები, მით უკეთ ცხოვრობენ ისინი — ასეთია ჩვენი საზოგადოების განვითარების კანონზომიერება.

მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. წარმოების მოწინავეებმა წამოაყენეს ლოზუნგი: შევასრულოთ ხუთწლედი 1970 წლის 7 ნოემბრისათვის. ამ მოწოდებას მხარი დაუჭირეს ქვეყნის ბევრი საწარმოს კოლექტივებმა, და მშრომელები აქტიურად იბრძვიან მისი განხორციელებისათვის.

წყვეტს რა დღევანდელი დღის ამოცანებს, პარტია ამასთან ერთად ჭვრეტს მომავალს, განსაზღვრავს შემდგომი განვითარების პერსპექტივებს. ახლა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა შეუდგნენ ახალი ხუთწლიანი გეგმის საფუძვლების შემუშავებას.

ქვეყნის მიერ მოპოვებულ წარმატებებზე დაყრდნობით მომავალ ხუთწლედში შევძლებთ გადავჭრათ ახალი, უფრო დიდი ეკონომიური ამოცანები, კიდევ უფრო აქტიურად დავნერგოთ სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბუნებრივი სიმდიდრენი ხალხის ინტერესებისათვის, გადავდგათ ახალი დიდი ნაბიჯი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების გზაზე.

კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი — ჩვენი საზოგადოების მოწინავე, ყველაზე ორგანიზებული კლასი. მასთან დაკავშირებულია მთელი რევოლუციური გარდაქმნები ჩვენს ქვეყანაში. მას გადამწყვეტი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

კომუნისტურ მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობს კოლმეურნე გლეხობა — მუშათა კლასის საიმედო მოკავშირე.

მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთიან მწყობრშია საბჭოთა ინტელიგენცია. მისი შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფს ვხედავთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმატებებში.

ჭაბუკური მჩქეფარე ენერგიით შრომობს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ჩვენი ახალგაზრდობა და, როგორც ყოველთვის, შრომისა და თავდაცვის მოწინავე მიჯნებზე დგას მისი სახელოვანი ავანგარდი — ლენინური კომკავშირი. კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები ღირსეულად ამართლებენ უფროსი თაობის იმედებს.

თხუთმეტი საბჭოთა რესპუბლიკის დემონსტრანტთა კოლონებში დღეს მოდიან ასზე მეტი ეროვნების მშრომელები. ერთიან ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და მუშაობენ ისინი, მათ აერთიანებთ საერთო ინტერესები, საერთო დიადი მიზანი. ხალხთა მეგობრობა და ძმობა სოციალისტური წყობილების სიმტკიცის მძლავრი ფაქტორი, მისი ახალი გამარჯვებების გარანტიაა.

ჩვენი ქვეყნის ყველა კლასი და სოციალური ჯგუფი, ყველა ერი და ეროვნება შეკავშირდა ურღვევი ერთიანობით ჩვენი ლენინური კომუნისტური პარტიის დროშების ქვეშ. ჩვენ ვიმარჯვებდით და ვიმარჯვებთ იმიტომ, რომ წინ მიგვიძღვის ლენინის ანდერძის ერთგული კომუნისტთა დიადი პარტია, იმიტომ რომ პარტიის ნება და ხალხის ნება ერთიანია. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „დიდება ლენინს"! „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას").**

საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან მძლავრი შეიარაღებული ძალები. ისინი გარემოსილი არიან ხალხის სიყვარულითა და ზრუნვით. არც ძალღონეს, არც საშუალებებს არ იშურებს ქვეყანა, რათა მის დამცველებს ჰქონდეთ ყველაფერი, რაც საჭიროა ჩვენი საზღვრების თავდაცვისათვის. და დღეს, აღვნიშნავთ რა რევოლუციური ბრძოლისა და შრომის დღესასწაულს, მადლიერებით ვფიქრობთ საბჭოთა მეომრებზე, რომელთა შეუნელებელი სიფხიზლე, რომელთა საბრძოლო ოსტატობა იცავს ჩვენი დიადი ხალხის მშვიდობასა და სიმშვიდეს, მშვიდობის საიმედო ბურჯია მთელ მსოფლიოში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენთან ერთად პირველ მაისს დღესასწაულობენ მილიონობით მშრომელნი ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე. ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი დღეს მათ მიმართავენ მეგობრობისა და სოლიდარობის სიტყვებით.

მხურვალედ მივესალმებით ჩვენს ძმებს — სოციალისტური ქვეყნების ხალხებს. მათი წარმატებანი და გამარჯვებანი განამტკიცებენ მსოფლიო სოციალიზმის პოზიციებს, შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენენ ხალხებისათვის, რომლებიც კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვიან.

ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნებმა ამ ბოლო დროს კოლექტიური ღონისძიებების მეოხებით სერიოზულად წაიწიეს წინ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი თანამშრომლობის განვითარებაში. ეს კარგ საფუძველს ქმნის სოციალიზმის შემდგომ გამარჯვებათათვის. ჩვენი პარტია, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრობისა და

(დასასრული მე-2 გვ.).



მოსკოვი, 1969 წლის 1 მაისი. მშრომელთა კოლონა წითელ მოედანზე. საქდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

# ვცხოვრობდეთ, ვშრომობდეთ და ვიმარჯვებდეთ ლენინურად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

[illegible]

გმირობა და თავგანწირვა საგმირო საქმეებისათვის ალაფრთოვანებს მილიონობით ახალ მებრძოლთ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ღრმად გვწამს: თვითნებობისა და [illegible]

[illegible] ლებებისათვის. ეს იციან ანგოლისა და მოზამბიკის განთავისუფლების არმიათა მებრძოლებმა. ეს იციან ხალხებმა, რომლებმაც მოიშორეს კოლონიზატორთა უღელი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ. საბჭოთა ხალხი კვლავაც იქნება ჩაგრულ ხალხთა ერთგული მეგობარი.

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს წარმატებებს ვუსურვებთ ყველას, ვინც იბრძვის აგრესიისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ყველას, ვისაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გზა გადაუღობოს ომის საფრთხეს. ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა კავშირი კვლავაც თანმიმდევრულად დაიცავს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს, იბრძოლებს მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის. გამალებული შეიარაღების შეზღუდვა და განიარაღება, ომის საფრთხის კერების ლიკვიდაცია ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარება — აი პროგრამა, რომლისთვისაც იბრძვის საბჭოთა სახელმწიფო. და ჩვენ მტკიცედ ვიცით, რომ შევძლებთ დავიცვათ მშვიდობა, თუ ამ მიზნისათვის ბრძოლაში შეკავშირდებიან კაცობრიობის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! სხვადასხვა პირობებში ცხოვრობენ და იბრძვიან სხვადასხვა ქვეყნის მშრომელნი. სხვადასხვაგვარად ხვდებიან ისინი თავიანთ პირველ მაისსაც. მაგრამ ყველგან ეს არის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ერთიანობის დღე. ამით პირველი მაისის დღესასწაული განსაკუთრებით ძვირფასია კომუნისტებისათვის. კომუნისტური მოძრაობა იშვა ლოზუნგით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"! და დღეს მსოფლიოში გაისმის კომუნისტების ეს მოწოდება, რომელიც გამოხატავს მშრომელი ხალხის მიზნებისა და ინტერესების ერთიანობის დიად იდეას.

კომუნისტები — ეს არის თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების უშიშარი ავანგარდი. ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ დიად მისიას, ხელმძღვანელობენ მასების კლასობრივ ბრძოლას, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას.

ახლა საბოლოო ფაზაში შევიდა მზადება კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირისათვის, რომელიც მოძმე პარტიათა ნებით გაიმართება მოსკოვში ივნისში. ჩვენი პარტია ყველაფერს ილონებს, რათა ამ თათბირმა წარმატებით ჩაიაროს და გახდეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი საერთო ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

დღეს, პირველ მაისს, ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, კვლავ ვაცხადებთ, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპის ერთგული ვართ.

ჩვენ მივმართავთ მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, კლასობრივ ძმებს კაპიტალის ქვეყნებში, მშრომელთა უფლებებისათვის, ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლებს. **(ტაში).**

ჩვენ ვეუბნებით მათ: თქვენთან ვართ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! **(მქუხარე ტაში).** ოქტომბრის სამშობლო, ლენინის ქვეყანა, კომუნიზმის მშენებლობის ქვეყანა მხურვალედ, ძმურად მოგესალმებათ და გამოხატავს თავის საბრძოლო რევოლუციურ სოლიდარობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! ნება მიბოძეთ დასასრულ კიდევ ერთხელ გულითადად მოგილოცოთ ამ დემონსტრაციის მონაწილეებს და ყველა საბჭოთა ადამიანს პირველი მაისის დღესასწაული და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ვაშა!").**

დაე ქარხნების საამქროებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლო აუდიტორიებში, კოსმოსსა და ზღვის სივრცეებში წარმატება ჰქონდეს ყველა ჩვენს საქმეს! დაე მრავლდებოდეს მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც გულდაჯერებით მიდის წინ ლენინის მიერ დასახული გზით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ბრძოლებსა და შრომაში გამოწრთობილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს, მისი შესანიშნავი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!", „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!"**

დიდ საბჭოთა ხალხს — მშრომელ ხალხს, მებრძოლ ხალხს, კომუნიზმის მშენებელ ხალხს დიდება!

**(ათასობით ხმამ აიტაცა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ბოლო სიტყვები „დიდება!, „დიდება!, „დიდება!". წითელ მოედანზე დიდხანს გრიალებს ტაში, გაისმის მძლავრი „ვაშა!". ყველა დამსწრე მღერის „ინტერნაციონალს" — მთელი მსოფლიოს მშრომელთა უკვდავ ჰიმნს).**

□

წითელ მოედანზე იწყება დღესასწაულის ლამაზი, საზეიმო პროლოგი. მასში მონაწილეობენ მოსკოვის ახალგაზრდები, კომკავშირი, დედაქალაქის საუკეთესო სპორტსმენები. აი იგი მოაბიჯებს, კოხტა, კუნთმაგარი, მხიარული ახალგაზრდობა. მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით ქაბუკებს მოაქვთ მოკავშირე რესპუბლიკათა ალმები.

ვლადიმერ ილიას-ძის დიდი პორტრეტი მოაქვთ მოედანზე. 52-ე საბჭოთა პირველი მაისი — ეს არის ჩვენი ქვეყნისათვის ღირსშესანიშნავი წლის გაზაფხული. ხალხმა ლენინური უწოდა ამ წელს.

ილიჩის დაბადების 100 წლისთავს უძღვნიან საბჭოთა ადამიანები თავიანთ შრომით წარმატებებს, სანუკვარ ფიქრებს.

„ლენინი მარად ცოცხალია!" — გაისმის მოედანზე სიმღერა.

— დიდ ლენინს დიდება!

ნახევარი საუკუნის წინათ მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაციაზე, რომელიც საბჭოთა დედაქალაქში გაიმართა, გამოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე. მაშინ მან თქვა:

„დღემდე, როგორც ზღაპარზე, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რასაც ჩვენი შვილები იხილავენ. მაგრამ ახლა, ამხანაგებო, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ სოციალისტური საზოგადოების შენობა, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი — უტოპია როდია. კიდევ უფრო გულმოდგინედ შეუდგებიან ამ შენობის აგებას ჩვენი შვილები".

და აი ახლა ისინი — საბჭოთა სახელმწიფოს პირველ მშენებელთა მემკვიდრენი გულმოდგინედ, შთაგონებულად, ბეჯითად ქმნიან ახალ საზოგადოებას ილიჩის ანდერძის მიხედვით.

„დიდია ჩემი ქვეყანა..." — გაისმის მარად ახალგაზრდა სიმღერა. და მართლაც დიდია ჩვენი ქვეყანა, მდიდარი, ნიჭიერი, ძლიერი ჯანმაგარი ადამიანებით, სწორედ ისეთებით, როგორიც არის ათი ათასი აკვალთული და ლამაზად გამოწყობილი დევგმირი, რომლებსაც ამ წუთებში დაუმშვენებიათ დემონსტრაცია. იცვლება ალმების და სპორტული კოსტიუმების ფერები, რომლებიც იშვიათი სილამაზის სურათს ქმნიან. მაგრამ უცვლელად მტკიცე და მხნე რჩება წითელ მოედანზე დღესასწაულთა რეფრენი:

— ჩვენ კომუნიზმის გზას ვადგავართ!

ეს ნიშნავს, რომ მტკიცედ გვწამს ჩვენი მომავალი. ეს ნიშნავს, რომ გვაღელვებს მსოფლიოს ყველა ხალხის წუხილი და საზრუნავი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს საპირველმაისო ლოზუნგში შერწყმულია მილიონთა ოცნებანი და იმედები.

მოედანზე მოაქვთ ალმებით გარშემორტყმული ტრანსპარანტი, რომელზეც წარწერილია:

— გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

ერთი წუთით წითელი მოედანი სასტარტო მოედნად იქცა. გასაფრენად მოემზადა კოსმოსური რაკეტა. რაკეტის გვერდით არის უზარმაზარი პანო პირველი ორბიტული სადგურის გამოსახულებით, რომელიც კოსმოსში შექმნა მამაცთა ოთხეულმა — შატალოვმა, ვოლინოვმა, ელისეევმა, ხრუნოვმა. სამყაროს ათვისების მატიანეში ჩაწერილ თექვსმეტ კოსმოსურ სახელს იცნობს ჩვენი ქვეყანა. მოედანზე ჩაიქროლა თექვსმეტმა მოტოციკლმა, რომლებსაც ნარინჯისფერ სკაფანდრიანი სპორტსმენები მართავენ. მათ ზემოთ თანამგზავრთა ვერცხლისფერი მოდელები ელავს.

თვითეულმა ჩვენგანმა იცის: ჩვენი შრომა, ჩვენი მშვიდობა, ჩვენი მაისი — საიმედო ხელშია. ჩვენს დიდ საბჭოთა ოჯახს იცავენ ერთგული მამულიშვილები. სამშობლოს დარაჯები, ისინი ყოველთვის საგუშაგოზე არიან, როგორც ის მესაზღვრე, რომლის სიმბოლური გამოსახულება მოაქვთ მოედანზე. „სამშობლოს საზღვრები წმიდათა-წმიდაა" — ეს ლოზუნგი, რომელიც კოლონების თავზე ფრიალებს, განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია მ. ვ. ფრუნზეს სახელობის აკადემიის მსმენელის ალექსანდრე ვახრუშევისათვის. სულ ახლახან იგი სასაზღვრო საგუშაგოში მსახურობდა უფროს ლეიტენანტ ივანე სტრელნიკოვთან ერთად, რომელმაც გმირულად დაიცვა სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრები. დღეს ვახრუშევი მონაწილეობს დემონსტრაციაში ფაბრიკა „კრასნაია როზას" მუშაკებთან ერთად, რომლებსაც მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ აკადემიის მსმენელებთან.

...იცვლება მარშის რიტმი. მოედანზე ჩაიარეს „წითელმა კვალმაძიებლებმა" — სრულიად საკავშირო პიონერული თამაშის „ციალის" გამარჯვებულებმა. ბევრ მათგანს მკერდზე უკეთია იმ ქალაქების ნიშნები, სადაც ისინი იყვნენ მამათა საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე ლაშქრობის დროს.

მაგრამ დღევანდელი პირველი მაისის ყველაზე ნორჩი მონაწილენი მაინც „წითელი კვალმაძიებლები" როდი იყვნენ. ყვავილებით ხელდამშვენებული ორმოცი პაწია გარბის მავზოლეუმისაკენ, ადის ტრიბუნაზე. ბავშვებმა ყვავილები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

წითელ მოედანთან მოსული დემონსტრანტთა კოლონების ალისფერი ზღვა შეარხია „ენთუზიასტთა მარშის" პირველმა აკორდებმა, რომლითაც გახსნა დემონსტრაცია მოსკოვის მუშათა გაერთიანებულმა სასულე ორკესტრმა. იწყება მოსკოველთა საზეიმო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობენ დედაქალაქის 30 რაიონის წარმომადგენლები. მოსკოვის ალისფერ დროშაზე ოქრომკედით ამოქარგულია ორდენები, რომლებითაც დაჯილდოებულია ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი, მთავრობის უმაღლესი ჯილდოები — ორი ლენინის ორდენი, ოქროს ვარსკვლავი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი — ეტაპებია იმ დიდი გზისა, რომელიც განვლო მოსკოვმა სამი რევოლუციის ბარიკადებში, ხუთწლედების მგზნებარე წლებში, დიდი სამამულო ომის მკაცრ და მამაცურ წლებში, ახალი მიღწევებისაკენ კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

მშობლიური მოსკოვის დროშას სიამაყით შესცქერის ერთ-ერთი იმათგანი, ვინც საკუთარი ხელით ქმნიდა მას. ეს არის ვალენტინა მაშკოვა, კრასნაია პრესნიას ოქტომბრის 35 წლისთავის სახელობის ფაბრიკის მოწინავე მუშა. ახლა იგი ტრიბუნაზე დგას და დედაქალაქის საუკეთესო ადამიანებთან ერთად იღებს დროშების პარადს.

საპირველმაისო კოლონების დღესასწაულში წითელ მოედანზე მონაწილეობა მიიღეს დედაქალაქის ოცდაათივე რაიონის წარმომადგენლებმა. პირველი მაისის მთავარ პატაკებს შორის იყო მოსკოველთა ვალდებულებანი, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის იკისრეს, მოწოდებანი მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი, რომ განამტკიცონ სოლიდარობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დღეს სადღესასწაულო დემონსტრაციაზე მოსკოველებმა — საბჭოების ქვეყნის მშრომელთა მოწინავე რაზმმა ცხადყო ილიჩის ანდერძისადმი ერთგულება, პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდრო შეკავშირება. წითელ მოედანზე მათ გვიპატაკეს, რომ შეასრულეს თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა მთელი მსოფლიოს პროლეტართა წინაშე, მთელი კაცობრიობის წინაშე.

• • •

საზეიმო კოლონებად ჩაიარა პირველმა მაისმა ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში — წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე. შრომისა და რევოლუციური ბრძოლის დროშა აფრიალა მან ჩვენს ქვეყანაში. მრავალეროვანი ქვეყნის მშრომელებმა ცხადყვეს კომუნისტური პარტიის გარშემო თავიანთი მონოლითური შეკავშირება, თავიანთი გადაწყვეტილება ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მიტინგებზე, რომლებითაც დღესასწაული დაიწყო რესპუბლიკებში, საოლქო და სამხარეო ცენტრებში, გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნები. მათ მხურვალედ მიულოცეს დღესასწაული თანამემამულეებს, აღნიშნეს, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს პირველი მაისისათვის მშრომელთა კოლექტივებმა.

მიტინგების შემდეგ გაიმართა მშრომელთა დემონსტრაციები.

(საკდესი).




მოსკოვი. წითელ მოედანზე 1 მაისის ზეიმის დროს. საკდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

## ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XIX ეროვნულ ყრილობას

**ძვირფასო** ამხანაგებო და მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს გითვლით თქვენ, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XIX ეროვნული ყრილობის დელეგატებს, და თქვენი სახით ამერიკის შეერთებული შტატების ყველა კომუნისტს.

ძნელ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ განიცდის დევნას რეაქციის მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მამაცურად იბრძვის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ძირეული ინტერესებისათვის, ზანგი ხალხის სრული თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლებისათვის, მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლიანი მოთხოვნებისათვის, ხალხის მასების, მთელი პროგრესული და მემარცხენე ძალების შეკავშირებისათვის მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტები მტკიცედ იბრძვიან ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამარცხვინო აგრესიის შეწყვეტისათვის, მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირეულ შეცვლას, პროტესტს აცხადებენ ქვეყნის მილიტარიზაციისა და გამალებული რაკეტულ-ატომური შეიარაღების გაძლიერების წინააღმდეგ, იბრძვიან მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის. ამ პოზიციას, რომელიც ასახავს ამერიკელი ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს, სულ უფრო მეტი გაგებით ეკიდებიან შეერთებული შტატების ფართო დემოკრატიული საზოგადოებრიობა, მშრომელები.

ხელმძღვანელობს რა მრავალი წლის გამოცდილებით, თქვენს პარტიას თავისი წარმატებითი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პირობად მუდამ მიაჩნდა მისი რიგების შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, კლასობრივი პოლიტიკური ხაზის თანმიმდევრულად განხორციელებისა და მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ცხოვრებით შემოწმებული რევოლუციური მოძღვრებიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლის საფუძველზე. თავისი დაუღალავი ბრძოლით საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის განვითარებისათვის თქვენმა პარტიამ მსოფლიოს კომუნისტთა კანონიერი პატივისცემა დაიმსახურა.

ვუსურვებთ თქვენს პარტიას წარმატებებს რიგების იდეურ და ორგანიზაციულ განმტკიცებაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიას!

დაე მტკიცდებოდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე!

დაე ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხალხების მეგობრობა!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

◆ ◆

პირველი მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად

## გ. ჰუსაკის გამოსვლა

პრაღა, 1 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი გუშინ საღამოს გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რადიოთი და ტელევიზიით 1 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. მან მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული მიულოცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქეებს და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა ჩეხოსლოვაკიის საწარმოებში, მინდვრებში, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში გაწეული დიდი მუშაობისათვის.

წელს, როცა 1 მაისს ვზეიმობთ, ვიგონებთ მშფოთვარე წელიწადს, რომელიც ჩვენმა ხალხებმა გადაიტანეს, თქვა გ. ჰუსაკმა. მან ხაზი გაუსვა, რომ კანონზომიერი და გარდუვალია იანვრისშემდგომი პოლიტიკისა და იმ პოზიტიურის განგრძობა, რაც გამოვლინდა 1968 წლის იანვრის შემდეგ.

მაგრამ ჩვენს იანვრისშემდგომ გზას, თქვა შემდეგ გ. ჰუსაკმა, თან ახლდა მოვლენები, რომლებიც არასწორი და ჩვენი განვითარებისათვის უაღრესად საშიში იყო. სარბიელი შეექმნა ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც თანდათან ირაზმებოდნენ და იჭრებოდნენ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ანტისოციალისტური ძალები ფორმალურად ისროდნენ სოციალისტურ ლოზუნგებს ან შენიღბვისათვის იყენებდნენ მათ, ბევრ შემთხვევაში ისინი უშუალოდ ესხმოდნენ თავს სოციალისტური საზოგადოების საფუძვლებს, სპეკულაციურად იყენებდნენ თავისუფლებისა და დემოკრატიის ლოზუნგებს, პარტიის ხელმძღვანელობას აყენებდნენ ისეთ მდგომარეობაში, რომელიც საშიში იყო ჩვენი სახელმწიფოსათვის, ზოგჯერ კი, მაგალითად უკანასკნელად 1969 წლის მარტის დამლევს, უაღრესად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენეს ჩვენი სახელმწიფო.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რიგებსა და ჩვენს საზოგადოებრიობაში, განაცხადა გ. ჰუსაკმა, განვლილ თვეებში მწიფდებოდა იმის შეგნება, რომ უნდა შევინარჩუნოთ პარტიისა და ეროვნული ფრონტის ძირითადი პროგრამა, იანვრისშემდგომი პოლიტიკის პროგრამა, მაგრამ ამავე დროს უნდა აღმოვფხვრათ ნეგატიური მოვლენები, გასაქანი არ მივცეთ ოპოზიციურ თუ ძირგამომთხრელ ძალებს და ამრიგად შევქმნათ პირობები, რომლებშიც შევძლებთ თანდათანობით დავძლიოთ კრიზისული მოვლენები ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. სწორედ ამას მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმი.

იმისათვის, რომ ჩვენი ხალხები გამოვიყვანოთ მძიმე კრიზისული მდგომარეობიდან, თქვა შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საჭიროა გარკვეული კონცეფცია და მტკიცე ხელმძღვანელობა. ეს კონცეფცია ძირითადად განსაზღვრულია ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დოკუმენტებით — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის რეზოლუციით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის, ჩეხიისა და სლოვაკიის მთავრობათა პროგრამით და სხვ. თანმიმდევრულად და ენერგიულად უნდა განვახორციელოთ ეს კონცეფცია.

ამასთან დაკავშირებით გ. ჰუსაკმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა შეგნებული დისციპლინის, გარკვეული წესებისა და წესრიგის დაცვა, რის გარეშეც შეუძლებელია იარსებოს თანამედროვე კულტურულმა და ინდუსტრიულად განვითარებულმა საზოგადოებამ.

უკანასკნელი ომის დამთავრების შემდეგ, რომელმაც საფრთხე შეუქმნა ჩვენი ხალხების თავისუფლებას, თქვა შემდეგ გ. ჰუსაკმა, ჩვენ თავისუფალი სახელმწიფო გავხდით საბჭოთა კავშირის მეოხებით, მისი დახმარების მეოხებით, საბჭოთა არმიის მეოხებით, რომელმაც გაათავისუფლა ჩვენი ტერიტორია. დაირღვა სწორედ ეს ჩვენი ურთიერთობა, რომელსაც ემყარებოდა ჩვენი სახელმწიფოებრივი თავისუფლებისა და სუვერენიტეტის მთავარი გარანტია. ამიტომ პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მთავარ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მთელი მოცულობით აღადგინოს ძმური და ამხანაგური ურთიერთობა სსრ კავშირთან და ყველა სხვა სოციალისტურ ქვეყანასთან, განსაკუთრებით იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც სამოკავშირეო ხელშეკრულებები გვაქვს დადებული.

შემდეგ გ. ჰუსაკმა განაცხადა, რომ მოსკოვში ყოფნის დროს ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია მოლაპარაკებას ეკონომიური პრობლემების შესახებ აწარმოებდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიაზეც და სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის — სესიის მუშაობაში მონაწილე ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ორმხრივი შეხვედრების დროსაც. გ. ჰუსაკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეიქმნა კარგი პოლიტიკური ატმოსფერო ჩეხოსლოვაკიასა და ყველა მოკავშირე სახელმწიფოს შორის, უწინარეს ყოვლისა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის. ჩვენი მოლაპარაკება, განაცხადა მან, გულახდილი, მეგობრული და გულითადი იყო, მას ახასიათებდა გულწრფელი სურვილი შეგვექმნა ნორმალური ატმოსფერო. ჩვენ განვიხილეთ ბევრი პრობლემა, რომლებიც ჩვენ გვეხება, ძირითადი, გადამწყვეტი საკითხები, რომლებითაც დაინტერესებულია ჩვენი ხალხი. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენსა და ჩვენს სოციალისტურ მოკავშირეებს შორის არ არის ისეთი პრობლემა, რომელსაც ვერ განვიხილავთ ან ვერ გადავწყვეტთ თანდათანობით. ამ მოლაპარაკებას მომავალშიც განვაგრძობთ.

ჩეხოსლოვაკიას სჭირდება მოკავშირეები და მეგობრები, განაგრძო გ. ჰუსაკმა. ეს დასკვნა გამოგვატანინა ჩვენმა ისტორიამაც და ჩვენი მარქსისტული მოძღვრების ინტერნაციონალურმა შინაარსმაც. ეს დასკვნა გამოგვატანინა იმან, რომ გვაღელვებს და პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენი ხალხების მომავალი. მაშასადამე, ჩვენი აწმყო და მომავალი ჩვენსავე ხელშია. აქ ვერაფერს ვერ შეცვლის ვერავითარი უცხო პროპაგანდა. ამას რომ ვამბობ, ვხელმძღვანელობ სინამდვილის ცოდნითა და საკუთარი გამოცდილებით.

ჩვენ, ხაზი გაუსვა გ. ჰუსაკმა, კვლავაც განვამტკიცებთ და გავაუმჯობესებთ ურთიერთობას ჩვენს მოკავშირეებთან. ეს ჩვენი ქვეყნის მშვიდი შინაპოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თქვა: ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ ეკონომიურ პრობლემებს. ახლანდელი მდგომარეობა ვერც ერთ ჩვენგანს ვერ დააკმაყოფილებს. ამ საკითხს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ, ისე ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელობამ, თვითეულმა მუშაკმა, ეს ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ.

ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, საზღვარგარეთთან ჩვენი ურთიერთობის მოწესრიგების შემდეგ, აღნიშნა გ. ჰუსაკმა, გადავჭრით ყველა დანარჩენ პრობლემას. ჯერჯერობით იმის იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლის პირველ ნახევარში შევძლებთ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობის მოწვევას, შემდეგ კი ჩეხიისა და სლოვაკიის პარტიათა ეროვნული ყრილობების მოწვევას და საერთო არჩევნების მოწყობას.

იმედით შევყურებთ მომავალს, განაცხადა გ. ჰუსაკმა თავისი სიტყვის დასასრულს. დიდად ვაფასებთ ჩვენი ადამიანების საღ გონებასა და აზრს, ჩეხი და სლოვაკი ხალხების, ჩვენი ეროვნული უმცირესობების კულტურას, ჩვენ მათი იმედი, მათი მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

## პირველი მაისი საზღვარგარეთ

პროგრესულმა საზოგადოებრიობამ მთელ მსოფლიოში იზეიმა პირველი მაისი

◆

ჰანოი, 1 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთები დღეს სადღესასწაულოდ გაფორმებული გამოვიდა.

რუბრიკით „დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის" „ნიან ზანმა" გამოაქვეყნა მოწინავე, რომელშიც ნათქვამია, რომ წელს 1 მაისის დღესასწაული ვიეტნამის მუშათა კლასისა და მთელი ხალხისათვის არის იმ უდიდეს გამარჯვებათა დღესასწაული, რომლებიც მათ მოიპოვეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ. სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

მთელი პროგრესული კაცობრიობა, ხაზს უსვამს „ნიან ზანი", აღტაცებულია და ამაყობს ვიეტნამით, სოციალისტური ბანაკის. ჩვენი თვალუწვდენი ზურგის ძალები განუწყვეტლივ იზრდება. [illegible] შეიქმნა და დღითი დღე ფართოვდება იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის ფრონტი, რომლის უმთავრესი უბანი დღეს არის მოძრაობა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამის მხარდასაჭერად.

სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის სოციალიზმისათვის, წერს „ნიან ზანი", ჩვენი მუშათა კლასი და მთელი მშრომელი ხალხი კვლავაც უნდა იცავდეს მტკიცე ბრძოლის ტრადიციებს, აჩაღებდეს პატრიოტულ შეჯიბრებას, წყვეტდეს დიდ ახალ ამოცანებს, რათა მთელი ქვეყნის თანამემამულეებთან ერთად დავამარცხოთ ამერიკელი აგრესორები და ბოლომდე მივიყვანოთ კეთილშობილური მისია: გავათავისუფლოთ სამხრეთი, დავიცვათ ჩრდილოეთი, გავაერთიანოთ სამშობლო.

**რომი,** 1 მაისი. (საკდესი). ხეების მწვანე ჩარჩოში ჩასმული სან-ჯოვანის უზარმაზარი მოედანი ხალხით აივსო. ბევრი ცოლშვილიანად მოვიდა აქ.

მოედანზე გამეფებულია სახალხო სეირნობის სადღესასწაულო განწყობილება. ადამიანებს მოაქვთ ტრანსპარანტები, ლოზუნგები: „გაუმარჯოს პირველ მაისს — მშრომელთა დღესასწაულს!", „ნატო, დაეხსენი იტალიას!" და სხვ.

მრავალი ათასი რომაელი და დედაქალაქის გარეუბნების მცხოვრები შეიკრიბა აქ რომის პროლეტარიატის მიტინგების ტრადიციულ ადგილზე, რათა აღნიშნონ პირველი მაისის დღესასწაული.

შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ა. ნოველამ და რომის შრომის პალატის ხელმძღვანელებმა.

**ტოკიო,** 1 მაისი. (საკდესი). იაპონიის მშრომელები მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — საბრძოლო საგაზაფხულო დღესასწაულს — პირველ მაისს. დილიდანვე იაპონიის დედაქალაქის ყოველი კუთხიდან ასიათასობით ადამიანი გაემართა ქალაქის ცენტრში განლაგებული „იოიოგის" პარკისაკენ. აქ გაიმართა ცენტრალური მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500 ათასმა კაცმა. წელს იაპონელი მშრომელები მეორმოცედ აღნიშნავენ პირველ მაისს.

პარკი გაივსო სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხით. ყველგან მოჩანს წითელი დროშები და ტრანსპარანტები, ალმები და ფერად-ფერადი ჰაერბურთები.

მიტინგის შემდეგ იაპონიის დედაქალაქის მშრომელები მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში. სადღესასწაულო კოლონებმა ჩაიარეს ქალაქის გაცხოველებულ ქუჩებში.

პირველი მაისის მომწყობი აღმასრულებელი კომიტეტის მონაცემებით, იაპონიაში გამართულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობდა დაახლოებით 7 მილიონი კაცი.

**ზანზიბარი,** 1 მაისი. საკდესის კორესპონდენტი ი. [illegible] გვატყობინებს:

სადღესასწაულოდ არის მორთული ზანზიბარის ქუჩები და მოედნები, რომლის მოსახლეობა დღეს გამოვიდა საპირველმაისო დემონსტრაციაზე. სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად ზანზიბარის მშრომელები ამ დღეს ცხადყოფენ საერთაშორისო სოლიდარობას კლასობრივ ძმებთან, მისწრაფებას უკეთესი ცხოვრებისა და დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებისადმი.

საპირველმაისო ზეიმის წინ ზანზიბარის პრეზიდენტმა აბეიდ კარუმემ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ ზანზიბარის ხალხი პირველ მაისს აღნიშნავს როგორც „მშვიდობისა და ადამიანის სიმშვიდის დღესასწაულს". პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ წლევანდელი წელი გახდეს „მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრების წელი", და განაცხადა: „მტკიცედ გვწამს, რომ საბოლოოდ მშვიდობა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში".

დასასრულ აბეიდ კარუმემ კორესპონდენტს სთხოვა საბჭოთა ხალხს ყოველივე საუკეთესო უსურვოს პირველი მაისის ზეიმობის დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე 1969 წლის 1 მაისს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და მ. კვირიკაშვილისა.

# ხალხთა ძმური მეგობრობის დროშით

## თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების საპირველმაისო დემონსტრაცია

საპირველმაისო დღესასწაული ყოველთვის მხნეობას მატებს და შემოქმედებითი შთაგონების წყაროა საბჭოთა ადამიანებისათვის. მაგრამ განსაკუთრებულ სულიერ აღმავლობას განიცდიან ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი წლევანდელ გაზაფხულზე, ამ დღეებში, როცა ვემზადებით ზეიმით აღვნიშნოთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ღირსეულად შევხვდეთ მეორე ღირსშესანიშნავ თარიღს — საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს.

შემოქმედებითს შრომაში მიღწეული ყველა ჩვენი გამარჯვება ლენინური იდეების სიდიადისა და ზეიმის დადასტურებაა. ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი ძლიერია ერთგულებით ლენინის ანდერძისადმი, მისი დიადი მოძღვრებისადმი, რომელიც მარადიული ჩირაღდანივით გვინათებს ბრძოლისა და ახალი ცხოვრების მშენებლობის გზას.

ხალისიანი, ბედნიერი პირველი მაისი მოვიდა საქართველოში. ყველგან ფრიალებენ ალისფერი ალმები, ირგვლივ ყვავილები, მუსიკა და სიმღერებია.

ლამაზად მორთულა რუსთაველის პროსპექტი. მთავრობის სახლის ფრონტონზე, უზარმაზარ წითელ ქსოვილზე ილიჩის პორტრეტია.

საერთაშორისო დღესასწაულის ამ დღეს მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი თითქოს აქ არის ხალხთან ერთად, რომელიც მტკიცედ ადგას მის მიერ ნაჩვენებ გზას.

პროსპექტის ცენტრში ჩამწკრივებულა სადღესასწაულო დემონსტრაციის მეწინავე კოლონა. აქ არიან ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები — რევოლუციის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილენი, სოციალისტური შრომის გმირები, მრეწველობის ნოვატორები, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსწავლე ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, ცნობილი სპორტსმენები, საბჭოთა კავშირის პირველობაში გამარჯვებულნი და პრიზიორები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონები.

ტრიბუნაზე არიან პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაკები, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

დილის 11 საათზე მთავრობის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, ვ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ქანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. ქიქნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. კურკოტკინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ა. გელდიაშვილი, ნ. გ. გომელაური, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რ. ვ. მეტრეველი.

საპირველმაისო ზეიმი იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის სიტყვით.

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩვენში ნათელი და სასიხარულო დღესასწაულია — 1 მაისი, გაზაფხულის, მშვიდობისა და შრომის დღესასწაული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულითადად მოგესალმებით და სულით და გულით გილოცავთ თქვენ, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს, თქვენი სახით — ყველა თბილისელს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს — მუშას, კოლმეურნეს, ჩვენს სახალხო ინტელიგენციას, ჩვენს შესანიშნავ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქების მამაც მეომრებს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

ძვირფასო ამხანაგებო!

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს — ჯანმრთელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ წარმატებებს მუშაობაში.

ბუნების განახლების ამ დღესასწაულს, კაცობრიობის გაზაფხულის დღესასწაულს ჩვენი მძლავრი სამშობლო ეგებება აყვავებული, კომუნისტური მშენებლობის ახალი სახელოვანი გამარჯვებებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები წარმატებით ასრულებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, აღწევენ სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას.

საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ, მრავალეროვან ოჯახში მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა საქართველოს მშრომელები თავიანთ შრომას, მთელ თავიანთ ენერგიას, მთელ თავიანთ ცოდნას, თავიანთი სულის მთელ სიძლიერეს უძღვნიან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას და, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება, ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, ჩვენმა შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობამ მტკიცედ გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა, ღირსეულად აღნიშნონ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავი და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი.

ჩვენთან ერთად ეგებებიან დღეს პირველ მაისს — ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ერთობის ამ დღის — სოციალიზმის ქვეყნების მშრომელები, რომლებიც თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით აღწევენ სულ ახალ და ახალ წარმატებებს, რითაც განამტკიცებენ სოციალიზმის პოზიციებს მთელ მსოფლიოში.

კიდევ უფრო ზრდიან სოციალისტური სისტემის ძლიერებასა და ავტორიტეტს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ამ დღეებში გამართული მოსკოვის სესიის შედეგები და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის ამასწინანდელი გადაწყვეტილებანი.

მთელი მსოფლიო ხედავს სოციალიზმის უდიდეს უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე, სადაც სულ უფრო ღრმავდება საერთო კრიზისი და მკვეთრად მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი.

საერთაშორისო იმპერიალიზმი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს ხელი შეუშალოს სოციალისტური თანამეგობრობის ხალხებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში, აძლიერებს მშრომელთა ექსპლოატაციას, ცდილობს ჩაახშოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მაგრამ მთელ მსოფლიოში მშრომელები არ ეპუებიან კაპიტალისტურ მონოპოლიებს, იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებს, აძლიერებენ ბრძოლას თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

პირველი მაისის დღეს საბჭოთა ადამიანები ძმურ სალამს უთვლიან მამაც ვიეტნამელ ხალხს, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა ხალხის სოლიდარობა არაბული ქვეყნების ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის ხრიკების წინააღმდეგ, დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან ისრაელ აგრესორთა ჯარების გაყვანისათვის!

დღითიდღე ძლიერდება ევროპისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მებრძოლთა მძლავრი არმია!

საბჭოთა კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკაა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკაა.

მაგრამ ჩვენ ჩინებულად გვესმის, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიის დარგში. ამიტომ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეურიგებლად ვებრძოლოთ მტრის იდეოლოგიას, ყოველდღიურად ვზარდოთ კომუნიზმის მშენებლები, იდეურად მტკიცენი, პარტიისა და ხალხის ერთგულნი!

საბჭოთა კავშირს მაღლა უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

ჩვენ თხიზლად ვადევნებთ თვალს მშვიდობისა და სოციალიზმის მტრების ხრიკებს. ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების მეომრები მუდამ მზად არიან მოიგერიონ იმპერიალისტთა ყოველგვარი აგრესია, ისინი მტკიცედ დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე, მამაცურად იცავენ ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა საზღვრებს.

გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი ერთობა!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

□

ამხ. მჟავანაძის ამ სიტყვებს დემონსტრანტები მქუხარე ტაშით შეხვდნენ. დიდებულად ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ჩაიარა მეწინავე კოლონამ, და პროსპექტი აივსო ხალხის ნაკადით. გიგანტური კოცონით გაჩირაღდნებულა მძლავრი ხელებით მაღლა აწეული ალისფერი დროშები. დემონსტრაციის მონაწილე მშრომელთა სიმღერებსა და პლაკატებში გამოთქმულია სიყვარული ლენინური პარტიისადმი, რომელმაც ერთიან ძმურ ოჯახად შეაკავშირა ხალხები.

ამ ოჯახში უმაგალითოდ აყვავდა საქართველო. ახლა რესპუბლიკა ერთი კვირის განმავლობაში მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე რევოლუციამდე აწარმოებდა მთელი წლის განმავლობაში. თბილისის მრეწველობა ახლა უშვებს სამი ათასზე მეტ ნაწარმს — სამაგისტრალო ელმავლებს, მსოფლიოში ერთადერთ ჩაის საკრეფ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებსა და სხვა სახეობის პროდუქციას, რომლებიც საუკეთესო საბჭოური და მსოფლიო ნიმუშების დონეზეა.

„ვიცხოვროთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ ლენინურად". ამ ცხოველმყოფელი დევიზით შრომობენ რესპუბლიკის ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები და სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევენ. რეალიზებული პროდუქციის მოცულობა პირველ კვარტალში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 4 პროცენტით გაიზარდა, მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა კი 5 პროცენტით. ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო ქვანახშირი, ფოლადის მილები, სატვირთო ავტომობილები, მალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ბევრი სხვა ნაწარმი.

ფართო კოლონებად მოდიან ლენინის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. კარგად მიდის ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა მრავალთასიანი არმიის საქმე. გზის თბილისის განყოფილების მემძიმეწონეებმა დავალების გადამეტებით წაიყვანეს ათობით დიდწონიანი მატარებელი და აპრილის დამლევისათვის გადაზიდეს გეგმაზე 22 ათასი ტონით მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. ეს გამოიხატა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ქალაქის ამ უძველესი საწარმოს მუშათა პრაქტიკული საქმეებით. მწკრივებში არიან ქარხნის წარჩინებული ადამიანები, სოციალისტური შრომის გმირი კ. ილურიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზეინკალი გ. გაჩეჩილაძე, ჩქაროსანი ხარატი ა. მარგველაშვილი. ისინი უკვე მომავალი ხუთწლედის პირველი წლის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

მოწინავეთა წარმატებებზე მეტყველებენ ფერადი ტრანსპარანტები, პლაკატები, პანოები, რომლებიც მოაქვთ ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის, ჩაის საწონი ფაბრიკისა და ლენინის რაიონის სხვა საწარმოთა კოლექტივებს.

წითლად ელვარებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— დაე მარად ცოცხლობდეს და აყვავდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და ურღვევი ერთობა.

მტკიცე მეგობრობა, თავდადებული შრომა სამშობლოს სასახელოდ აერთიანებს კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მრავალეროვან კოლექტივს. ლითონსაჭრელი ჩარხების მშენებელთა შორის 12 ეროვნების მუშები და სპეციალისტები არიან. დემონსტრანტთა რიგებში მოდიან ხარატი ზ. ჯვილუკაშვილი, მხხავი ვ. პილენკო, მღარავი გ. ტოშოიანი და სხვები.

მოდიან აბრეშუმსაქსოვი, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა კოლონები. თვითეულ კოლონაში არიან კომუნისტური შრომის დამკვრელები. მათ მოაქვთ პლაკატები, რომლებითაც უპატაკებენ სამაისო შრომითს ვახტზე პარტიის 23-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებებს. ტრიბუნები გულთბილად ესალმებიან მატერიალურ ღირებულებათა შემქმნელებს.

ზედიზედ მოდიან პირველი მაისის, ოქტომბრის, კიროვის, კალინინის, 26 კომისრის სახელობის, ორჯონიკიძის რაიონების მშრომელთა კოლონები. პირველ რიგებში არიან წარმოების საუკეთესო მუშაკები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები. ასეთი ბევრია ჩვენს საწარმოებში. 26 კომისრის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, სადაც წარმატებით აითვისეს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების „ღრუბლის" წარმოება, უკვე 30 წელია მუშაობს წარმოების ნოვატორი მემოდელე ა. ღვინიანიძე; დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში — ხარატი-რაციონალიზატორი ნ. როდომანჩენკო; ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში — სოციალისტური შრომის გმირი გ. პაპინაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ჩადუნელი. მათ უსწორებენ ნაბიჯს წარმოების ყველა მუშაკი.

რუსთაველის პროსპექტის კიდით კიდემდე გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდების სიტყვები:

— დიდება კომუნისტური შრომის დამკვრელებსა და კოლექტივებს! დიდება წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

უსასრულოდ მოედინება დემონსტრანტთა ნაკადი. აი ქარხანა „ელექტროგამშვები", რომლის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 47 ქვეყანაში. სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი, რომელიც თავის ნაწარმს გზავნის პოლონეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში; მოდიან კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" მუშები და მოსამსახურეები. ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე ისინი სწრაფი ტემპით მუშაობენ და განვლილ სამ წელსა და ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს იმდენი ქსოვილი, რომლისგანაც შეიძლება 50 ათასმა კაცმა შეიკეროს კოსტიუმები თუ პალტოები.

დემონსტრაციის მონაწილეთა შორის არიან საბჭოთა არმიის ყოფილი მეომრები, რომლებიც იარაღით ხელში იცავდნენ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას დიდი სამამულო ომის წლებში. ერთი კვირის შემდეგ ჩვენ აღვნიშნავთ ისტორიულ მოვლენას — ფაშისტურ გერმანიაზე დიადი გამარჯვების 24-ე წლისთავს. დემონსტრანტებს მოაქვთ საბჭოთა მეომარ-განმათავისუფლებლის ქანდაკება.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს ჩვენი სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვფხიზლობთ და მზად ვართ გამანადგურებელი ლახვარი ჩავცეთ ყველას, ვინც ხელყოფს ჩვენს დიად მონაპოვრებს. ჩვენ ყოველთვის ვიყავით და კვლავაც ვართ იმ ხალხთა მხარეზე, რომლებიც იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. დემონსტრანტთა კოლონებში მოჩანს პლაკატები და ტრანსპარანტები მოწოდებებით:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

— მსოფლიოს ხალხებო! გადაჭრით მოსთხოვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიული ომი თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ!

— ამერიკელო იმპერიალისტებო, გაეცალეთ ვიეტნამს!

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები მტკიცედ იბრძვიან აგრესიისა და პროვოკაციის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდმნიშვნელოვანი წვლილი იყო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ამასწინანდელი თათბირის გადაწყვეტილებანი. კიროვის რაიონის მშრომელთა კოლონების გაფორმება ასახავდა საბჭოთა ადამიანების მტკიცე მისწრაფებას თანმიმდევრულად იბრძოლონ ჩვენი დღეების კეთილშობილური და აქტუალური ამოცანის რეალიზაციისათვის — ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

მრავალრიცხოვან კოლონებად მოდიან მეცნიერები სახელგანთქმული მათემატიკოსის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მეთაურობით. საქართველოს აკადემიაში გაერთიანებულია 40-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებიც ამუშავებენ თანამედროვე მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს.

ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დროზე, როცა საქართველოში 20-30 ინჟინერი და აგრონომი იქნებოდა. დღეს ჩვენ სიამაყით ვასახელებთ სხვა ციფრებს. 1921 წლიდან მოყოლებული რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგს მისცეს 185 ათასზე მეტი სპეციალისტი. საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა მოამზადეს 225 ათასამდე კაცი.

ტრიბუნებიდან გულითადად მიესალმებიან იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, მასწავლებლებს, ლიტერატორებს, მსახიობებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს. საქართველო ძველი თავისთავადი კულტურის ქვეყანაა. ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტური კულტურის განვითარებაში. იზრდება, ვაჟკაცდება და იდეურად იწრთობა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, იქმნება ნიჭიერი მხატვრული ნაწარმოებები.

მწყობრად მოაბიჯებს ჩვენი ხალისიანი ახალგაზრდობა. პოლიტექნიკური, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ინსტიტუტების სტუდენტობა. ისინი, მამაცი და ენერგიული ახალგაზრდები, იცხოვრებენ კომუნიზმის მშვენიერ შენობაში, რომელსაც უფროს თაობებთან ერთად დღეს აშენებენ მშობლიურ ქვეყანაში.

ბედნიერ ახალგაზრდობას ადიდებენ სპორტულ საზოგადოებათა „დინამოს" „ქარიშხალას", „ლოკომოტივის" ფიზკულტურელები. აღტაცებას იწვევენ ბრგე, ჯანღონით აღსავსე სპორტსმენები.

სახალხო სვლა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი ქართველი ხალხის უსაზღვრო ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად.

(საქტასის კორ.)

# ზეიმობს საქართველო

## ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომელიც ფიზკულტურელთა ნაკრებმა კოლონამ გახსნა.

ტრიბუნებს ჩაუარეს მოსწავლეების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების მრავალათასიანმა კოლონებმა. მოდიან ქალაქის მრავალრიცხოვან საწარმოთა კოლექტივები. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მშრომელთა კოლონებს წინ მიუძღვიან ქართული ავტომობილის მშენებლები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს 4 თვის დავალება. ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივს თან მოაქვს თავისი ახალი პროდუქცია — მოდერნიზებული ხუთტონიანი ელექტრომტვირთავის საცდელი ნიმუში, რომლის წარმოება პირველი მაისის წინადღეებში აითვისეს. თავისი ახალი პროდუქცია — ახალი მარკის სამთო თვითმავალი მასის ნიმუში გამოიტანეს მოედანზე ტრაქტორმშენებლებმა.

საპირველმაისო შეჯიბრებაში მოპოვებულ გამარჯვებებს უპატაკებენ აგრეთვე მელითონეები, მეკონსერვეები, მეავეჯეები, მკერავები, მეფეხსაცმელეები, ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივები.

სამ საათს გასტანა ქუთაისის მშრომელთა დემონსტრაციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 80 ათასზე მეტმა კაცმა.

## სოხუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). ქალაქის ლამაზ ქუჩებსა და ქათქათა შენობებს ამშვენებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ტრანსპარანტები, ლოზუნგები, ალისფერი დროშები. ჩვეულებრივზე ადრე გამოიღვიძა ქალაქმა-ბაღმა ამ საზეიმო დღეს. ყველგან ისმის ხალისიანი სიმღერები.

დილის 11 საათია. კაშკაშა მზე ანათებს. მშრომელთა კოლონები ვ. ი. ლენინის მოედნისაკენ მიემართებიან. ტრიბუნას ერთ-ერთმა პირველმა ჩაუარა ქალაქის ფიზკულტურელთა კოლონამ, რომელსაც წინ მიუძღოდნენ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვიქტორ სანეევი და ჩვენი ქვეყნის ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი.

ტრიბუნას ჩაუარეს ქალაქის სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მრავალათასიანმა კოლონებმა, სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა. შემდეგ მოდიან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლონები, რომლებმაც ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს საპირველმაისო სოციალისტური ვალდებულებანი და 4 თვის გეგმის ზევით ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია მისცეს სამშობლოს.

## ბათუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). მაისის ხალისიანი დილა გათენდა. ქუჩები აავსო მოზეიმე ჰანგებმა. სადაც არ გაიხედავ, ყველგან სამხიარულო განწყობილებაა. სკვერები, მოედნები, შენობათა ფასადები დაფარულია პლაკატებითა და დროშებით. ბათუმელები ქუჩებში გამოეფინენ და უწყვეტ ნაკადად მიედინებიან ქალაქის ცენტრისაკენ — ლენინის მოედნისკენ.

დილის 11 საათია. მოედანზე ალისფერი დროშების ტყე აშრიალდა. დაიწყო საპირველმაისო სვლა. მრავალათასიან კოლონებს სათავეში უდგანან მოსწავლეები, ისინი, რომლებიც მამების გმირულ ესტაფეტას მიიღებენ და აიტაცებენ. მათ მოჰყვებიან სტუდენტები. ფანფარების ჟღერითა და მწყობრი ნაბიჯით მოდიან საზღვაოსნო სასწავლებლის კურსანტები, მომავალი კაპიტნები, ბოცმანები, მეზღვაურები.

ტრიბუნას ჩაუარა მუშათა კლასმა, ადამიანებმა, რომლებიც სასწაულებს ახდენენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, წარმატებით დგანან ლენინურ ვახტზე. ესენი არიან მენავთობეები და გემთმშენებლები, მანქანათმშენებლები და მეფეხსაცმელეები, ელექტროტექნიკური, ელექტროხელსაწყოების, ელექტრომექანიკური ქარხნების მუშები, რომელთა პროდუქციამაც შორს გაითქვა სახელი.

## ცხინვალი

ცხინვალი. (საკ. კორ.). პირველი მაისის მზიან დღეს ცხინვალი მორთულ-მოკაზმული შეეგება. ქუჩებში ფრიალებენ ალისფერი დროშები, ამწვანებულია ხეივნები, სკვერები, ქალაქში მხიარული განწყობილებაა.

დილის 10 საათიდან მოზეიმე კოლონები თავს იყრიან რკინიგზის სადგურის ახლოს, ლენინის სახელობის მოედანზე. აქედან იწყება ცხინვალის მშრომელთა დემონსტრაცია, მიძღვნილი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის დღის — პირველი მაისისადმი.

როგორც ყოველთვის, ახლაც ტრიბუნასთან პირველი მიაბიჯებენ ახალგაზრდები — საშუალო სკოლების ჭაბუკები და ქალიშვილები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტები.

„ვაშა" ძახილში ტრიბუნას ჩაუარეს ელექტრომანქანების, ემალსადენის, ავტოსარემონტო ქარხნების მუშათა კოლექტივებმა. ისინი სამშობლოს უპატაკებენ იმ წარმატებების შესახებ, რაც მათ მოიპოვეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მოდიან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშები, შემოქმედებითი კოლექტივები, დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ ცხინვალელები გვიანობამდე ზეიმობდნენ მშრომელთა ამ დიად დღესასწაულს.



თბილისი. 1969 წლის 1 მაისი. სტუდენტები დემონსტრაციაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



# ქართულ სიტყვას შეასხამს უკრაინა

### მოგვითხრობს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე

[illegible]

ოჯახში ძმურად ცხოვრობენ თანასწორუფლებიანი, თავისუფალი საბჭოთა ხალხები.

ჩვენმა მეგობრებმა — უკრაინელმა მწერლებმა სიყვარულით თარგმნეს რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ასევე ქართულად თარგმნილია უკრაინული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები.

ამ ტრადიციული მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრაცია იყო უკრაინული ლიტერატურის დეკადა საქართველოში, რომელიც 1964 წლის შემოდგომაზე მოეწყო. ჩვენი ახლანდელი დეკადა უკრაინაში საპასუხო მეგობრული შეხვედრაა მოძმე ხალხის მიწაზე ისევე როგორც 1964 წელს ქართველმა მწერლებმა დეკადისათვის თარგმნეს და გამოსცეს უკრაინელი მწერლების ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშები, ამჟამად. ჩვენს მიწვევასთან დაკავშირებით, უკრაინაში გამოიცა ოცზე მეტი წიგნი: ქართველი პოეტების, მწერლების, დრამატურგების ნაწარმოებთა თარგმანები, რომლებიც შესრულებულია საუკეთესო უკრაინელი მწერლების მიერ.

მივემგზავრებით უკრაინაში ჩვენს ნაცად მეგობრებთან, რომლებთანაც ხანგრძლივი შემოქმედებითი მეგობრობა გვაკავშირებს. დეკადა საზეიმოდ გაიხსნება კიევში, ოქტომბრის სახელობის სხდომათა დარბაზში. შემდეგ ქართველ მწერალთა დელეგაცია გაემგზავრება მირგოროდში, სადაც გურამიშვილის სახლ-მუზეუმის წინ გაიხსნება დავითიანის ავტორის ძეგლი. ათი დღის განმავლობაში დეკადის მონაწილე ქართველი მწერლები იმოგზაურებენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში, შეხვდებიან მუშებს, კოლმეურნეებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, გაეცნობიან მათს შრომასა და შემოქმედებას.

ჩვენი დელეგაცია 18 კაცისაგან შედგება. მათ შორის არიან ცნობილი მწერლები, პოეტები როგორც უფროსი თაობისა, ისე ახალგაზრდა შემოქმედნი.

ამ დღეებში არ შეიძლება არ გავიხსენოთ მახარაძის სოფელ შრომისა და უკრაინის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა მეგობრობა, რომელსაც ხანგრძლივი და შინაარსიანი ისტორია აქვს. ამ მტკიცე ძმობას საძირკველი ომის მრისხანე წლებში ჩაეყარა. ასევე ცნობილია ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელთა, ქართველ და უკრაინელ მეტალურგთა მეგობრობა. სამამულო ომის წლებში უკრაინის წმიდა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის სხვა მოძმე ხალხების შვილებთან ერთად თავიანთ სისხლს ღვრიდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებიც. საერთო ბრძოლებში, საერთო შემოქმედებით შრომაში განმტკიცებული ჩვენი ხალხების მეგობრობის ახალ მძლავრ დემონსტრაციად უნდა იქცეს ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში. ამის საწინდარია საუკუნეებში გამოწრთობილი მეგობრობა და ურთიერთ სიყვარული.

ჩვენ გვიყვარს უკრაინის შესანიშნავი ხალხი, მისი ლიტერატურა და ხელოვნება, მისი დიდებული სიმღერები. ასეთი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეგობრობის ტრადიციები გვავალებს, რომ დეკადამ ჩაიაროს იმ მაღალი რეპუტაციის დონეზე, რომელიც ქართულ ლიტერატურას აქვს საერთოდ, და კერძოდ, მოძმე უკრაინაში.

გვჯერა, რომ ქართული ლიტერატურის დეკადა ერთხელ კიდევ კარგად გამოაჩინებს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ახალ აყვავებას ჩვენს დროში და თავის წვლილს შეიტანს უკრაინელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში.

• • •

**სურათზე:** კიევი. ქალაქის ცენტრალური მაგისტრალი კრეშჩატიკი.

ფოტო მ. მელნიკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# სამაისო ზეიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ქუთაისში**

ფოტო გ. ბერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).



**სოხუმში**

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



**ბათუმში**

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## მსოფლიო დღეს

# ნიქსონი—კონგრესს

**ვაშინგტონი**, 30 აპრილი. (საქდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დღეს კონგრესს გაუგზავნა სპეციალური წერილი, რომელიც შეიცავს წინადადებებს, რომ გააუმჯობესონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ფედერალური დახმარების გაწევის სისტემა.**

პრეზიდენტმა აღიარა, რომ დიდი რაოდენობა ყოველგვარი ფედერალური პროგრამებისა და მზარდი რიცხვი უწყებებისა, რომლებიც მოწოდებული არიან თვალყური ადევნონ ამ პროგრამების შესრულებას, „ქმნის საფრთხეს, რომ ეს ჩაკლავს მთავრობის საქმიანობას“.

# მდგომარეობა საფრანგეთში

**პარიზი**, 1 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ა. კრასიკოვი იუწყება:

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე შესაძლო კანდიდატთა სია არა თუ ყოველდღიურად, არამედ ყოველ საათობით იზრდება. დე გოლის გადადგომამ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან გზა გაუხსნა ელისეს სასახლეში სანუკვარი სავარძლის დაკავების ყველა პრეტენდენტს, რომლებიც დღემდე ამჯობინებდნენ არ გამოემჟღავნებინათ თავიანთი პოლიტიკური ამბიციები.

მართლაც, ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც არ მალავდა სახელმწიფოს უმაღლეს პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელების განზრახვას, იყო გასული წლის მაის-ივნისის მღელვარე ამბების შემდეგ მხოლოდ ჟორჟ პომპიდუ.

ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელიც ექვს წელიწადზე მეტ ხანს უდგა სათავეში მეხუთე რესპუბლიკის მთავრობას, მარტო საკუთარი პარტიის (რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის) მხარდაჭერა როდი შეიპირა. ცოტა მერყეობის შემდეგ მას მხარდაჭერა აღუთქვეს აგრეთვე რესპუბლიკის დაცვის დემოკრატთა კავშირის მოკავშირეებმა მთავრობის კოალიციაში — „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელებმა“.

გადაწყვეტილება, რომ მხარი დაუჭირონ ჟორჟ პომპიდუს, მიიღეს „დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა“ საპარლამენტო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც 30 აპრილს საღამოს გაიმართა პარიზში.

კონსერვატიული ოპოზიციური დაჯგუფების „დემოკრატიული ცენტრის“ ლიდერმა ჟან ლეკანიუემ, რომელიც 1965 წლის არჩევნებში წარუმატებლად გამოვიდა გენერალ დე გოლის წინააღმდეგ, შეიტანა წინადადება „ცენტრისტებისაგან“ დაასახელონ სახელმწიფოს ახლანდელი დროებითი მეთაურის სენატის თავმჯდომარის ალენ პოერის კანდიდატურა. ეს მოღვაწე აქტიურად შეუდგა თავისი ახალი ფუნქციების შესრულებას. მან ელისეს სასახლეში მიიღო ბევრი პოლიტიკური მოღვაწე, აგრეთვე საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მინისტრი პიერ მესმერი. მაგრამ მთავარი ყურადღება, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ა. პოერმა ახლა დაუთმო ეროვნული რადიოთი და ტელევიზიით პროპაგანდისტული კამპანიის ორგანიზაციას.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მარსელის მერის გასტონ დეფერის კანდიდატურას, რომელიც ამ პარტიის მარჯვენა ფრთაზე და კომუნისტებთან ერთად მოქმედების წინააღმდეგია.

ამავე დროს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელმა კომიტეტმა უარყო კომუნისტური პარტიის წინადადება, რომ დაეწყოთ მოლაპარაკება მემარცხენე ძალების საერთო პროგრამის შესამუშავებლად, უარყო აგრეთვე „ფართო“ სოციალისტური პარტიის შექმნის საქმეში თავისი პარტნიორის — რესპუბლიკური ინსტიტუტების კონვენტის წინადადება, რომლის აზრით, ყველა მემარცხენე პარტიამ დაუყოვნებლივ უნდა გააერთიანოს ღონისძიებანი საერთო კანდიდატის მხარდასაჭერად.

საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავ მოითხოვს ყველა მემარცხენე პარტიის პოზიციების შეთანხმებას. საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილების გამო ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა: „თუ საერთო პროგრამის შესახებ მოლაპარაკებაზე უარის თქმა დასტურდა, ეს იგივე იქნება, რომ უარი თქვან შეთანხმებაზე მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატურის შესახებ“. ვალდეკ როშემ იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტია გადასინჯავს მიღებულ გადაწყვეტილებას და დათანხმდება შექმნას სხვა მემარცხენე პარტიებთან ერთად საერთო კოალიცია, უარყოფს მემარჯვენეებთან კომპრომისის ცდებს.

„ხოლო თუ, მიუხედავად ჩვენი ყოველი მცადინეობისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მთელი მემარცხენე ძალების საერთო პროგრამის შემუშავება, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი იძულებული იქნება შესაბამის მომენტში დაასახელოს საკუთარი კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე“, — დასძინა ვალდეკ როშემ.

# ამინდი მაისში

**როგორი ამინდი იქნება წელს მაისში?**

**დასავლეთ საქართველოში** ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა დაბლობ რაიონებში მოსალოდნელია 15-18 გრადუსი, მთიან რაიონებში — 10-15, მაღალმთიან რაიონებში კი 9-11 გრადუსის ფარგლებში. ნალექებს უმეტესად უნდა ველოდოთ მეორე დეკადაში და თვის ბოლოს. მაისში ტემპერატურის ინტენსიურ მომატებასთან დაკავშირებით, წვიმები უფრო მეტად ელჭექის ხასიათისა იქნება.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ჰაერის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია დაბლობ რაიონებში 15-18, მთიან რაიონებში 9-14 გრადუსი. უფრო ხშირად ნალექები იქნება მეორე დეკადაში და თვის ბოლოს.

ყველაზე დაბალი თვიური ტემპერატურა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია პირველ დეკადაში და მეორე დეკადის მეორე ნახევარში, მაღალი კი მესამე დეკადაში.

ქ. მელაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

## „კომუნისტი“ სპორტი

# ჩემპიონები თუ პრეტენდენტები?

**მოსკოვი** დიდი საჭადრაკო ქალაქი გახდა. სწორედ აქ გამოვლინდებიან მსოფლიოს ჩემპიონები, აქ შეამკობენ მათ დაფნის გვირგვინებით.

ჭადრაკის დედოფალი და ჩემპიონობის პრეტენდენტი სადღესასწაულო დღეებს დასვენებასა და მომავალი ბრძოლებისათვის მზადებას მოახმარენ.

ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კუშნირის მატჩის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონი ქულათა სოლიდური მარაგით (5:3) ეწვია დედაქალაქს. 30 აპრილს ნ. გაფრინდაშვილი ესწრებოდა ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის მატჩის მეშვიდე პარტიას, ხოლო 4 მაისს საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში თვითონ მიუჯდება საჭადრაკო მაგიდას და ა. კუშნირთან გააგრძელებს დავას თავისი ტიტულის დასაცავად. მეცხრე პარტიაში თეთრებით პრეტენდენტი ითამაშებს. მორიგი პარტიები შედგება 6, 8, 11, 13, 15, 18 და 20 მაისს. გადადებული პარტიების დასამთავრებლად განკუთვნილია 5, 7, 9, 12, 14, 16, 19 და 21 მაისი. 10 და 17 მაისს მეტოქენი დაისვენებენ.



ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის მატჩის ანგარიში 7 პარტიის შემდეგ ცნობილია. წინ არის პრეტენდენტი — 4:3. მერვე პარტია გაიმართება დღეს. თეთრებით ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი.

# ფეხბურთის მაისი

**დღეს და ხვალ სპორტის მოყვარულებს ცოტა შესწორება როდი ექნებათ შესატანი ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში.**

აი ორი მაისის მატჩების განრიგი: „ზარია“ — „დინამო“ (მოსკოვი). სკა (დონის როსტოვი) — „ჩერნომორეცი“, „კრილია სოვეტოვი“ — „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (მინსკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „პახტაკორი“. სამ მაისს კი ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა — „ნეფტჩი“ და „ურალმაში“ — „არარატი“.

# ფინიში მოახლოვდა

**დიდი** კალათბურთის ფინიში დგება. როგორია დღეისათვის მდგომარეობა სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში?

30 აპრილს საკუთარ მოედანზე ცსკა-მ მეორე შეხვედრაც მოიგო ტარტუს „კალევთან“ 80:71 და 24 ქულით ლიდერია. 24 ქულა აქვს აგრეთვე თბილისის „დინამოს“, მაგრამ მას 2 თამაშით მეტი აქვს გამართული, ვიდრე ცსკა-ს. სწორედ ეს ორი კოლექტივია ოქროსა და ვერცხლის მედლების მაძიებლები. რაც შეეხება მესამე საპრიზო ადგილს, აქ ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან „სტროიტელი“, „ჟალგირისი“, „სპარტაკი“ და „კალევი“.

მორიგი ტურის შეხვედრები შედგება 3 და 4 მაისს. თბილისის „დინამოს“ სპორტის სასახლეში პაექრობა ექნება კაუნასის „ჟალგირისთან“.

## რადიო

● **შაბათი, 3 მაისი**

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოჟურნალი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — როსინი. ნაწყვეტები ოპერიდან „სევილიელი დალაქი“, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!“ (მოსკოვი), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტთა კონცერტი, 12.00 — „დიადი ცხოვრების წლები“ (მოსკოვი), 12,20 — ბეთჰოვენი. მეხუთე საფორტეპიანო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — მღერის ვოკალური ანსამბლი „გორდელა“, 14.00 — „მხიარულ ტალღაზე“, 14.30 — რუს კომპოზიტორთა რომანსები, 15.00 — რადიოდადგმა „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, 16.15 — ციკლიდან „მოგონებები, სტატიები, წერილები“. კონცერტი-საუბარი — შ. ჭიაურელის მოგონებები ვ. სარაჯიშვილზე, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.10 — ლ. ქიაჩელი. „მოქცევა“. რადიოდადგმა, 18.10 — კონცერტი „სალხინო“, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — რადიოჟურნალი „ლენინური ალმანახი“, 19.30 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.30 — ახალგაზრდობისათვის. მუსიკალური რადიოკომპოზიცია „ათი და ასი“, 21.00 — „შილისპირული“, 21.15 — საუბარი „ლენინის სახე ქართულ ფოლკლორში“, 21.45 — საოპერო სცენის ოსტატების კონცერტი. მონაწილეობენ: მ. ამირანაშვილი, ი. არხიპოვა, ნ. ანდღულაძე, ი. მაზუროკი და ი. პეტროვი, 22.50 — შ. მშველიძე. საორკესტრო პიესა „მზის ამოსვლა“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

# ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

● **პარასკევი, 2 მაისი**

11.00 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა“ — სადღესასწაულო გამოშვება (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ალისფერი იალქნები“, 13.00 — ბავშვებისათვის. „მხიარული ქალაქი“ — გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კონცერტი მოსწავლეთა დაკვეთით, 14.00 — მსოფლიოს ხალხთა ცეკვები. კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — ს. მიხალკოვი „მწვანე კალია“. სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნა, 17.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ თბილისი — „შახტიორი“ დონეცკი, 18.45 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „სპარტაკი“ მოსკოვი — „ტორპედო“ მოსკოვი, მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „მულტიპანორამა“, 20.45 — საესტრადო კონცერტი, 21.25 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (პირველი სერია), 22.45 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მინიატიურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა“. „ჰორიზონტი“ — ხალხური საღამო (გადმოცემა ლენინგრადიდან).

● **შაბათი, 3 მაისი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. 11.00 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „მდინარის მეორე მხარე“, 13.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „საზღვარგარეთული ხელოვნების პროგრესული მოღვაწენი“ — ჯაკომო მანცუ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 17.20 — „ჯადოსნური საღებავი“, 17.50 — „მსოფლიო დღეს“, 18.20 — კონცერტი „ათასი მილი“, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — რედაქციაში წერილი მოვიდა, 19.15 — დიალოგი კინომსახიობ ალა დემიდოვასთან, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ თბილისი — „ჟალგირისი“ კაუნასი (რეპორტაჟი სპორტის სასახლიდან), 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: „ცხოველთა სამყაროში“, 23.00 — საესტრადო კონცერტი.

● **კვირა, 4 მაისი**

10.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 10.30 — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — მუსიკალური კიოსკი (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — დ. თორაძე. ბალეტი „გორდა“. ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 13.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1948 წელი (ქართულ ენაზე), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — „კინოაფიშა“, 17.00 — ციკლიდან „ფილოსოფიის ლენინური ეტაპი“, 17.20 — „მუსიკალური სუვენირები“ — საესტრადო გადაცემა, 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა. „კინომოგზაურთა კლუბი“, 19.00 — „წიგნის სამყაროში“, 19.30 — კინოპროგრამა, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — კალათბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. „დინამო“ თბილისი — „ჟალგირისი“ კაუნასი. ტრანსლაცია სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 21.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“ (მეორე სერია), 22.45 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ — „წიგნის აუქციონი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის.

● **ორშაბათი, 5 მაისი**

11.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 17.50 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 18.10 — „ცანცალა და გოგონა“, 18.[illegible] — „სახლში გაზრდილი შემოდის“ — გადაცემა, მიძღვნილი ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა „ჩვეულებრივი რაისი“, 19.10 — კინონარკვევი, 19.20 — კონცერტი პრესის მუშაკთა თხოვნით, 20.00 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — „თეატრალური შეხვედრები“, 21.10 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (პირველი სერია), 23.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.30 — „ცირკი სტუდიაში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.15 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **სამშაბათი, 6 მაისი**

11.05 — კინოპროგრამა. 11.45 — საბჭოთა კავშირის თასზე შაიბიან ჰოკეიში — ფინალი (ვიდეოჩანაწერი), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა ლენინგრადიდან), 18.45 — „იყო და არა იყო რა...“ „მამლაყინწა მამალი“. 30-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა თოჯინების თეატრი სტუდიაში, 19.00 — „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.20 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 19.40 — „მუსიკის სამყაროში“ — სატელევიზიო მიმოხილვა, 20.40 — მხატვრული ფილმი „ჟურნალისტი“ (მეორე სერია), 22.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „საუბრები ზნეობის შესახებ“, 23.00 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის.

● **ოთხშაბათი, 7 მაისი**

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 11.30 — მხატვრული ფილმი „ქალიშვილი ყუთით“, 17.35 — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთათვის — „როგორ მოვამზადოთ თეორიული კონფერენცია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები და რეკლამა, 18.20 — კონცერტი ბავშვებისათვის, 19.00 — „ცოდნა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა, მიძღვნილი რადიოს დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. „პალიტრა“, 2. „გლობუსი“, 21.00 — კონცერტი. მიძღვნილი რადიოსა და ტელევიზიის დღისადმი. ტრანსლაცია კავშირების სვეტებიან დარბაზიდან, 23.00 — „ეთერშია“ — „ახალგაზრდობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის.

● **ხუთშაბათი, 8 მაისი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის. უნგრული მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ძელიანი ციხესიმაგრე“. პირველი, მეორე, მესამე სერია (ქართულ ენაზე), 19.40 — გადაცემა „ქიმიის გიგანტი“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ცსკა — „დინამო“ მოსკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — მხატვრული ფილმი „მსახიობი კოხანოვკადან“, 23.30 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის.

## თეატრები

**2 მაისს**

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ლენბურგის ზარი (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ჰინკრაკა (დღისით), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — წმინდანები ჯოჯოხეთში (დღისით), სასამართლო ქრონიკა (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (დღისით და საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დონ სეზარ დე ბაზანი (№ 44 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ., № 56 აბონ. დღის 5 ს.).

**3 მაისი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — 1. სოფლის პატიოსნება, 2. კონცერტი (24-ე აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ბებერი მეზურნეები (დღისით და საღამოს), **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — გააზნაურებული მდაბიო (პრემიერა. დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სასამართლო ქრონიკა (დღისით). მთვარის მოტაცება (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეცხრე ტალღა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (№ 12 აბონ. დღის 10 ს. და 30 წ.), დონ სეზარ დე ბაზანი (№ 18 აბონ. დღის 5 ს.).

**4 მაისს**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — გორდა (დღისით), რუსლან და ლიუდმილა (საღამოს. პრემიერა 26-ე აბონ. მე-3 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გაღმა ბიგვა (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყანთელაძე, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეცხრე ტალღა (დღისით), სიმღერა ტყეში (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სათაგური (№ 14 აბონ. დღის 10 ს. და 30 წ.), დონ სეზარ დე ბაზანი (№ 29 აბონ. დღის 5 ს.).

## კინო

**2, 3, 4 მაისს**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ნაკადული — **ფერისცვალება**, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი (საზამთრო), კოლხიდა (საზამთრო და საზაფხულო). ბათუმი, ჰავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **ერთი კაცი ზედმეტია**, ამირანი (საზაფხულო) — **დიდი მანევრები**, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), სპორტი — **ალტონელი განდეგილები**, ბათუმი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე — **დიდი პრიზი** (I-II სერია), კოლხიდა (საზამთრო) — **ძმები კარამაზოვები** (I-II სერია), 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **შვიდი სიმღერა სომხეთზე**, საქართველო (საზაფხულო) — **ნილბიანი მეამბოხე** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ბათუმი, ეკრანი, ოფიცერთა სახლი — **ეტიუდი ქალებზე**, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **სანგამი** (I-II სერია), კომკავშირელი — **ახალგაზრდული შეცდომები** (10, 12, 2 ს.), კომკავშირელი — **ძმები კარამაზოვები** (I სერია. 4 ს., II, III სერია 6, 8-30 წ.), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ძმები კარამაზოვები** (III სერია), თანამგზავრი — **ერთგული ხელი — ინდიელთა მეგობარი**, კოლმეურნე — **მულტიპლიკაციური ფილმების კრებული**, ნაკადული — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავლები**, ოფიცერთა სახლი — **ჟურავუშკა**, ისანი (საზაფხულო) — **ოქროს საყური** (I, II სერია), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **უკანასკნელი ბანაკი**, კოსმოსი — **მხიარული ახალგაზრდობა** (11 ს.), **ვირჯინია, სიტი, ჩაპაევი** (1 ს.), **12 განრისხებული მამაკაცი, მრისხანების ველი** (4 ს. და 30 წ.), **ჩიხი, მუსიკალური ისტორია** (8 ს.).

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 6 მაისს.

რედაქტორი დ. მჟდლიშვილი.

„კომუნისტი“ თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პასუხ. მდივნის — 93-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 07447 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.